# გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**განკარგულება № 118**
**2025 წლის 12 სექტემბერი**
**ქ. გორი**

**გორის მუნიციპალიტეტში, გადასარბენი აგარა-გორი 2420კმ პკ7 სკრის დაცული სარკინიგზო გადასასვლელის კვეთაზე არსებულ ადგილობრივ მნიშვნელობის გზაზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ**

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია სს „საქართველოს რკინიგზის“ წერილი, რომლითაც მოთხოვნილია საგზაო ნიშნების დამონტაჟება გორის მუნიციპალიტეტში, გადასარბენი აგარა-გორი 2420 კმ პკ7 სკრის დაცული სარკინიგზო გადასასვლელის მიმდებარედ, აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ და მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ გორის მუნიციპალიტეტში, გადასარბენი აგარა-გორი 2420კმ პკ7 სკრის დაცული სარკინიგზო გადასასვლელის კვეთაზე არსებულ ადგილობრივ მნიშვნელობის გზაზე განთავსდეს შემდეგი საგზაო ნიშნები: 1.1.-„რკინიგზის შლაგბაუმიანი გადასასვლელი“; 1.3.2.-„მრავალლიანდაგიანი რკინიგზა“; 1.4.1–1.4.6. „რკინიგზის გადასასვლელთან მიახლოება“.

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტში, გადასარბენი აგარა-გორი 2420კმ პკ7 სკრის დაცული სარკინიგზო გადასასვლელის კვეთაზე არსებულ ადგილობრივ მნიშვნელობის გზაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განთავსდეს შემდეგი საგზაო ნიშნები: 1.1.-„რკინიგზის შლაგბაუმიანი გადასასვლელი“; 1.3.2.-„მრავალლიანდაგიანი რკინიგზა“; 1.4.1–1.4.6. „რკინიგზის გადასასვლელთან მიახლოება“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. გორის მუნიციპალიტეტში, გადასარბენი აგარა-გორი 2420კმ პკ7 სკრის დაცული სარკინიგზო გადასასვლელის კვეთაზე არსებულ ადგილობრივ მნიშვნელობის გზაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განთავსდეს შემდეგი საგზაო ნიშნები: ა) 1.1.-„რკინიგზის შლაგბაუმიანი გადასასვლელი“; ბ) 1.3.2.-„მრავალლიანდაგიანი რკინიგზა“; 1.4.1–1.4.6. „რკინიგზის გადასასვლელთან მიახლოება“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30)

**საკრებულოს თავმჯდომარე** **დავით რაზმაძე**